ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ74.74221334**

თარიღი:**13/05/2022**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მოხელეთა ფუნქციების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 03 მაისის N14 დადგენილებით დამტკიცებული „ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 03 მაისის N20 დადგენილებით დამტკიცებული „ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულების” საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მოხელეთა ფუნქციები დანართი N1-ის შესაბამისად.

2. დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამ ბრძანების შესაბამისად გააცნოს და გადაუნაწილოს ფუნქციები სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეებს.

3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ. № 11), ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან 1(ერთი) თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს 2022 წლის 16 მაისიდან.

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი N 1
ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ74.74221334 - 13.05.2022 ბრძანებისა

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის მოსამსახურეთა საშტატო ერთეულების (პოზიციების) ფუნქციები

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური

<u>I რანგი- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი</u>

ა) წარმართავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ ერთეულის მიერ დაკისრებული ამოცანების და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) ანაწილებს ფუნქციებს სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა შორის;

გ) მერს წარუდგენს წინადადებებს სტრუქტურული ერთეულის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით, მოსამსახურეთა წახალისების და მათთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების, მოსამსახურეთა მიერ მორიგი ან/და პროფესიული განვითარებისათვის შვებულებების გამოყენების, მოსამსახურეთა სამსახურეობრივი მივლინებების შესახებ;

დ) უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის პროცესებს, ზედამხედველობს სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა თანამდებობრივი მოვალეობების შესრულების პროცესებს;

ე) დაქვემდებარებული თანამშრომლების მიერ არაჯეროვნად დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე ახდენს დროულ რეაგირებას და წარუდგენს მერს შესაბამის წინადადებებს.

ვ) მერსა და კურატორ მოადგილეს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

ზ) მერს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სტრუქტურული ერთეულის მიერ შესრულებულ
სამუშაოთა შესახებ, ასევე, მერის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს ანაგრიშებსა და ახსნა-განმარტებებს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით;

თ) ასრულებს მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქცია-მოვალეობებს.

<u>II რანგი -პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე</u>

ა) მონაწილეობს სტრუქტურული ერთეულისთვის შესასრულებელი ამოცანების პრიორიტეტიზაციაში;

ბ) აკონტროლებს და ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულისათვის დასახული ამოცანების
მიღწევის პროცესს;

გ) აფიქსირებს სტრუქტურული ერთეულის პოზიციას იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უშუალო უფროსი ან/და საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელობა;

დ) ადმინისტრირებას უწევს პროცესებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლების

შეფასებაზე, წახალისებაზე, განვითარებაზე, მოტივაციასა და დისციპლინური ღონისძიებების ინიციირებაზე.
ე) ზედამხედველობს სტრუქტურული ერთეულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ვადებს.
ვ) სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს აძლევს რჩევებსა და რეკომენდაციებს მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით;
ზ) მონაწილეობს პროფესიული და ორგანიზაციული პრობლემების გადაწყვეტასა და დარეგულირებაში, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტრუქტურული ერთეულის ეფექტიანი მუშაობისთვის;
თ) ხელს უწყობს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს მისთვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების განხორციელების პროცესში და ასრულებს მის შესაბამის დავალებებს;
ი) კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს ხელმძღვანელის დავალებებს და მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქცია-მოვალეობებს.
კ) მერის დავალებით ასრულებს ხელმძღვანელის მოვალეობებს მისი არყოფნის ან მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში.

<u>III რანგი- პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი</u>

- მუნიციპალური ობიექტების შესწავლა და მათი ინფრასტრუქტურული განვითარების და ექსპლუატაციის საკითხებზე წინადადებების წარდგენა;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურული ობიექტების – ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების, გარე განათების, სანიაღვრე მეურნეობის, მუნიციპალიტეტის გამგებლობაში არსებული კომუნიკაციების მოწყობა/რეაბილიტაციის განხორციელების მონიტორინგი;
- სტიქიისაგან დაზიანებული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება;
- კომპეტენციის ფარგლებში ჩატარებული შესწვლა/შეფასების სამუშაოების ელექტრონული აღრიცხვა (რეესტრის მომზადება) შესაბამისი რეკვიზიტებით;
- შემოსული კორესპოდენციების დამუშავება და შესაბამისი პასუხების პროექტების მომზადება.

<u>III რანგი- პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი</u>

- არქიტექტურული საამშენებლო დოკუმენტების პროექტის შეთანხმებისა და სანებართვო მოწმობის გაცემისათვის საკითხების შესწავლა და წინადადებების მომზადება;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების შესწვლა/შეფასება/მონიტორინგი მათი მოწყობა/ექსპლუატაციისა და განვითარების საკითხებზე და შესაბამისი წინადადებების შემუშავება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სივრცით-ტერიტორიული განვითარების დაგეგმვისათვის შესაბამის სფეროში დადგენილი ნორმებისა და წესების გათვალისწინებით წინადადებების წარდგენა;
- სტიქიისაგან დაზიანებული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება;
- შემოსული კორესპოდენციების დამუშავება და შესაბამისი პასუხების პროექტების მომზადება.

III რანგი- მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების, თანადაფინანსებისა და აღრიცხვის ხელშემწყობი ადგილობრივი პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი დოკუმენტების განხილვა და შესაბამისი დოუმენტების პროექტების მომზადება;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა, დამუშავება, შესაბამისი რეესტრების მომზადება;
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება;
- სტრუქტურულ ერთეულში შემოსული კორესპოდენციების შესრულების მიმდინარეობაზე მონიტორინგი და შესაბამისი წინადადებების წარდგენა ხელმძღვანელისთვის;
- შემოსული კორესპოდენციების დამუშავება და შესაბამისი პასუხების პროექტების მომზადება.

III რანგი- მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების შესწვლა/შეფასება/მონიტორინგი მათი მოწყობა/ექსპლუატაციისა და განვითარების საკითხებზე და შესაბამისი წინადადებების შემუშავება;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების, თანადაფინანსების ხელშემწყობი ადგილობრივი პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგი;
- სტიქიისაგან დაზიანებული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება;
- შემოსული კორესპოდენციების დამუშავება და შესაბამისი პასუხების პროექტების მომზადება.
- მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქურული სამუშაოებზე მონიტორინგის განხორციელებისას ფოტო-მასალების შექმნა და დაარქივება.

III რანგი- მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების შესწვლა/შეფასება/მონიტორინგი მათი მოწყობა/ექსპლუატაციისა და განვითარების საკითხებზე და შესაბამისი წინადადებების შემუშავება;
- სტიქიისაგან დაზიანებული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების, თანადაფინანსების ხელშემწყობი ადგილობრივი პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგი;
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება;
- შემოსული კორესპოდენციების დამუშავება და შესაბამისი პასუხების პროექტების მომზადება.

III რანგი- მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების შესწვლა/შეფასება/მონიტორინგი მათი მოწყობა/ექსპლუატაციისა და განვითარების საკითხებზე და შესაბამისი წინადადებების შემუშავება;
- სტიქიისაგან დაზიანებული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების, თანადაფინანსების ხელშემწყობი ადგილობრივი პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგი;
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება;

- შემოსული კორესპოდენციების დამუშავება და შესაბამისი პასუხების პროექტების მომზადება.

<u>III რანგი- მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი</u>

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების შესწვლა/შეფასება/მონიტორინგი მათი მოწყობა/ექსპლუატაციისა და განვითარების საკითხებზე და შესაბამისი წინადადებების შემუშავება;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების, თანადაფინანსების ხელშემწყობი ადგილობრივი პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ტერიტორიის გამწვანების ზოლის, განვითარების და მოვლა-შენახვის საკითხებზე წინადადებების მომზადება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების მართვის შესახებ, წინადადებების მომზადება;
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება
- შემოსული კორესპოდენციების დამუშავება და შესაბამისი პასუხების პროექტების მომზადება.